პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1920 — 1978

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი 26 აგვისტო, 1978 წ. № 200 (17244) ფასი 2 კაპ.

512.000 ტონა ყურძნისათვის!

სილნალელი ვეევენახეების პირობა

● იქნება 34 ათასი ტონა ყურძენი — საზოგადოებრივი მეურნეობებიდან — 22 ათასი ტონა.

საკარმიდამოდან — 12 ათასი

— გვპირდებიან სილნალელები

ფლეევანდელმა უწვიმელო ამინდებმა მეზვრეებს დიდი საქმე გაუჩინა. ვაზს რომ მთელ წელიწადს, დღეიადაგ შვილივით მოფერება და შრომა უნდა, ეს კარგად იციან სიღნაღის რაიონის მშრომელებმა, მევენახეებმა. დიდი რთვლისათვის მზადებაც ადრევე დაიწყეს. რაიონის კოლმეურნეობებს, ბრიგადებს, რგოლებს შორის მთელი ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება.

როგორც ალვნიშნე, ვენახებისათვის არაფერი 'მოგვიკლია. მაგრამ მაისს ბოლოს სეტყვამ მეტად სერიოზული ამოცანების წინაშე დააყენა მევენახეები. სეტყვისაგან ასეთი დიდი ზიანი რაიონს უკანასკნელი 10 წლის მანძილზე არ განუცდია. დაისეტყვა 7 მეურნეობა, საიდანაც 5 მეურნეობის ვენახის ფართობი 80-90 პროცენტით დაზიანდა, 773 ჰექტარი გაიხსნა.

რაიონის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო აქტივს, მევენახეებს ამ რთული და დაძაბული პირობების შემდეგაც არ დაგვიკარგავს იმედი. **მიზნად დავისახეთ სეტყვა არ გაგვეტეხა და მტკიცედ გადავწყვიტეთ 34 ათასი ტონა ყურძენი სახელმწიფოს მარანში მივიტანოთ, ბოლბის კალინინის სახელობის კოლმეურნეობა 1.400 ტონის ნაცვლად 1.500 ტონა ყურძენს მიჰყიდის სახელმწიფოს, ძველანაგილა 1.850 ტონის ნაცვლად — 2.300 ტონას, ტიბაანის კოლმეურნეობა 1.930 ტონის ნაცვლად — 2.200 ტონას, ჯუგაანის კოლმეურნეობა 1.250 ტონის ნაცვლად — 1.500 ტონას, მაღაროს კოლმეურნეობა 2.240 ტონის ნაცვლად 2.300 ტონას, ვაქირის კოლმეურნეობა 1.340 ნაცვლად — 1.600 ტონას, ხირხის საბჭოთა მეურნეობა — 3.300 ტონას.**

ისედაც რთული მდგომარეობა უფრო დაძაბა ივლისისა და აგვისტოს გვალვამ. ჩვენს მევენახეებს გულისელი არც ამჯერად დაუკრეფიათ. ბუნების ამ ჭირვეულობას ჯეროვნად უპირისპირებენ ორგანიზებულ შრომას, მეურნეობის გაძღოლის მაღალ კულტურას.

რთველი კარზეა მომდგარი. რაიონის პარტიული ორგანიზაციის საზრუნავი ახლა ის არის, რომ მოკლე დროში დავამთავროთ რთველი, მთლიანად შევინარჩუნთ მოსავალი და უდანაკარგოდ, დროულად მივიტანოთ იგი სახელმწიფო მარანში.

რთველში ყოველდღიურად 3.500 მკრეფავი და 400 ავტომანქანა ებრძვიან, რაც ხაშეულებს მოგვცემს რთველი დათქმულ დროში დავამთავროთ. რაიონის ვაკრობის, საყოფაცხოვრების მომსახურებისა და ჯანმრთელობის დაცვის მუშაკები უშუალოდ ვენახებში მოემსახურებიან ჩვენს მშრომელებს.

საზოგადოებრივ მეურნეობებში რთვლის დამთავრების შემდეგ ყურძნის კრეფა საკარმიდამო ზვრებში გაგრძელდება. **მათ წელს სახელმწიფოს 12 ათასი ტონა ყურძენი უნდა მიჰყიდონ.** უკვე გამოჩნდა ამ საქმის პირველი ინიციატორი. ამ დღეებში რაიონული გაზეთის „კოლმეურნის“ ფურცლებზე დაიბეჭდა ძველანაგილი კოლმეურნის კოტე დვალაშვილის წერილი, რომელიც სახელმწიფოს 12 ტონა ყურძნის მიყიდვას პირდება.

ჩვენი კომუნისტები, ყველა მშრომელი მზად არიან წარმატებით დაამთავრონ რთველი და სახახელო მაჩვენებლებით შეხვდნენ ოქტომბრის დღესასწაულს.

ნ. ბუჩუკური,
საქართველოს კომპარტიის სიღნაღის რაიკომის პირველი მდივანი.

ჩვენი იდეოლოგიის ძალა

მრავალთარეული სოციალიზმი — მაღალი იდეურობის, ორგანიზებულობისა და სულიერი კულტურის საზოგადოება, თანმედროვეობის ყველაზე შეკავშირებული საზოგადოებაა. იგი ძლიერია თავის მოქალაქეთა შეგნებითა და პოლიტიკური შეხედულებების ერთიანობით. ახლა სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში სულ უფრო სრულად ვლინდება ის, რომ „საბჭოთა ქვეყნის მშრომელებს ღრმად ესმით თავიანთი საზოგადოებრივი მოვალეობა, რომ ისინი მზად არიან კომუნიზმის ასაშენებლად, არ იშურებენ ამისათვის ნებასა და უნარს.

ახალი, სოციალისტური ყაიდის ადამიანთა შესანიშნავი მორალურ-პოლიტიკური თვისებები ყალიბდებოდა კომუნისტური აღზრდის დარგში ჩვენი პარტიის მრავალი წლის მიზანდასახული მეცადინეობის შედეგად, რასაც „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია აგებს მარქსიზმ-ლენინიზმის მტკიცე საძირკველზე. პარტიის ძალის, მასების მსოფლმხედველობაზე მისი განმსაზღვრელი გავლენის დაუშრეტელი წყაროა მარქსისტულ-ლენინური, მოძღვრების შემოქმედებითი გამოყენება და განვითარება, რევოლუციურ-გარდაქმნილ პრაქტიკასთან მისი ორგანული შეერთება. დიადი მოძღვრების იდეები, დაეუფლნენ რა მილიონობით საბჭოთა ადამიანის შეგნებას, მათი გზის მანათობელი ვარსკვლავი, ცხოვრებისა და შრომის კომპასი გახდა.

მუშათა კლასის მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგია, რომელმაც გაიმარჯვა და სამუდამოდ დამკვიდრა ოქტომბრის სამშობლოში, ნამდვილი ჰუმანიზმისა და სოციალური სამართლიანობის, სოციალისტური პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის, ხალხთა თავისუფლების, თანასწორობისა და ძმობის იდეოლოგიაა. იგი აკავშირებს მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას, ჩვენი ქვეყნის ყველა ერის მშრომელებს, აერთიანებს სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ხალხებს, მზარდ ზემოქმედებას ახდენს მთელი მსოფლიოს მშრომელთა უფართოეს მასებზე. მარქსიზმ-ლენინიზმი მოწინავე კაცობრიობის ფიქრთა მპყრობელი გახდა, რასაც ბევრად შეუწყო ხელი კომუნისტური და მუშათა პარტიების აქტიურმა იდეურ-თეორიულმა მუშაობამ, მათმა მზარდმა იდეოლოგიურმა თანამშრომლობამ. აღნიშნა რა ეს მიმდინარე წლის გაზაფხულზე პრაღაში გამართულ საზეიმო კრებაზე წარმოთქმულ სიტყვაში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა: „დღეს მარქსისტულ-ლენინურ იდეოლოგიას მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის ავანგარდული პოზიციები უკავია. მის გარშემო მოღლეარებენ ჭნაბები, მას უსწრაფვის სხვადასხვა სოციალური მოძრაობა და ეს მეტწილად ჩვენი პარტიების ერთობლივი შემოქმედებითი საქმიანობის, ახალი საყაროს მშენებლობის უმდიდრესი პრაქტიკის გავლენის შედეგია“.

რეალური სოციალიზმის, კომუნისტური იდეალების მზარდი გავლენა მშრომელ ადამიანთა შეგნებაზე უმნიშვნელოვანესი ფაქტორია თანამედროვე ეტაპზე ორი სოციალური სისტემის იდეურ ბრძოლაში. როგორც სკკპ XXV ყრილობამ აღნიშნა, ახლანდელ პირობებში იდეოლოგიური ბრძოლის პრობლემები სულ უფრო მეტად დგება წინა პლანზე, ხოლო სიმართლე სოციალიზმის შესახებ მძლავრი იარაღია ამ ბრძოლაში. სხვა მოძმე პარტიებთან ერთად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ყოველ ღონეს ხმარობს, რათა გამარჯვებული სოციალიზმის მაგალითი სულ უფრო კაშკაშებდეს, რათა დღენიადაგ იზრდებოდეს მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მიმზიდველი ძალა. ეს უზრუნველყოფს სოციალიზმის უძლეველ ისტორიულ შეტევას იდეოლოგიის სფეროში, მიუხედავად იმისა, რომ ბურჟუაზიული პროპაგანდა გააფთრებით ცდილობს დაამახინჯოს, ჩიქვი მოსცხოს მის პრინციპებსა და იდეებს. ცნობილია, რომ იმპერიალისტური რეაქცია ყველა ღონეს ხმარობს ფსიქოლოგიურ ომში სოციალისტური წყობილების, ჩვენი იდეოლოგიისა და მორალის წინააღმდეგ, სისტემატურად აწყობს პროპაგანდისტულ ძირგამომთხრელ კამპანიებს როგორც არის, მაგალითად, პროვოკაციული აურზაური „ადამიანის უფლებათა“ შესახებ. მაგრამ კაპიტალიზმის დამცველნი ულური არიან სინამდვილის ფაქტების წინაშე, ისტორიული განვითარების სიმართლის, ცხოვრების სიმართლის წინაშე. ეს დიადი სიმართლე მთავარია, რაც ჩვენს პოზიციას ორი მსოფლმხედველობის ბრძოლაში ნამდვილად შეტევითს ხდის.

საბჭოთა ადამიანებს კარგად აქვთ შეგნებული, რომ კომუნისტური იდეების სიმართლისა და სიცოცხლისუნარიანობის ყველაზე დამაჯერებელი დადასტურებაა ჩვენი სამშობლოს, ყველა სოციალისტური ქვეყნის დიადი მონაპოვრები. მეცნიერული მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობა სოციალისტური საზოგადოების მოქალაქეებს აიარაღებს სოციალური განვითარების აზრისა და მიმართულების გაგებით, შესაძლებლობას აძლევს მათ ნათლად დაინახონ თავიანთი ბრძოლის მიზნები და მათი მიღწევის გზები. კომუნისტური აღმშენებლობის ფრონტზე ყოველი ,ახალი წარმატება ამტკიცებს მშრომელთა იდეურ მრწამსს.

სწორედ ამას ისახავს მიზნად პარტიის იდეოლოგიური მუშაობა. მისი მრავალფეროვანი ფორმები და საშუალებანი, მათ შორის მარქსისტულ-ლენინური განათლების ფართო ქსელი, ხელს უწყობენ კომუნისტების მშენებელთა პოლიტიკური სიმწიფის, სიმტკიცისა და სიფხიზლის ზრდას. მარქსიზმ-ლენინიზმის მასობრივი შესწავლა ჩვენში საზოგადოებრივი შეგნების განვითარების უმნიშვნელოვანესი თავისებურება გახდა. ანათლებს და აღზრდის რა მშრომელებს, პარტია უკითარებს მათ კომუნისტურ იდეურობას, რომელიც განასახიერებს ცოდნას, რწმენასა და აქტიურ პრაქტიკულ მოქმედებას საზოგადოების საკეთილდღეოდ.

კომუნიზმისაკენ ჩვენი ძლევამოსილი წინსვლის კვალობაზე იზრდება მოთხოვნები პარტიულ ორგანიზაციათა იდეურ-აღმზრდელობითი საქმიანობისადმი. მისი სრულყოფისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ნაშრომებს, რომლებიც შევიდა ორტომეულში „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის იდეოლოგიური მუშაობის აქტუალური საკითხები“. ეს ნაშრომები საბრძოლო სახელმძღვანელოა პროპაგანდისტული, სამეცნიერო, პედაგოგიური კადრებისათვის, პარტიული ორგანიზაციებისათვის.

მასების აღზრდა მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის სულისკვეთებით მთელი პარტიის, ყველა კომუნისტის საქმეა. ასეთი აღზრდის დონის შემდგომი ამაღლება ბევრად არის დამოკიდებული პარტიულ ორგანოებზე, კერძოდ პარტიულ ორგანიზაციათა მდივნების მოადგილეებზე იდეოლოგიური მუშაობის დარგში. პარტიულმა კომიტეტებმა, რომლებიც ეყრდნობიან აქტივს, მტკიცედ, თანმიმდევრულად უნდა განახორციელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მითითებანი იდეოლოგიის საკითხებზე. ეს საკითხები უეჭველია პარტორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებსა და კონფერენციებზე სერიოზული მსჯელობის საგანი იქნება. უნდა უზრუნველყოთ კომპლექსური მიდგომა იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობისადმი, წარვმართოთ იგი მშრომელთა პოლიტიკური და ხელოვნური აქტიურობის ყოველნაირი განვითარებისათვის, წარსულის გადმონაშთების, ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყოველი გამოვლინების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის.

მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეები საფუძვლად უდევს ახალი საზოგადოების მშენებელთა სულიერ სამყაროს. მარქსისტული ლენინური იდეოლოგია მათ უნერგავს ოპტიმიზმს და მომავლის ღრმა რწმენას, შთაგონებს ახალ გმირობას კომუნისტური იდეალების გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

ПРАВДА 24 აგვისტოს მოწინავე.

დამკვრელური წლის მაჯისცემა

● **მოსავალი ავიღოთ დროზე, უდანაკარგოდ!**
● **სამრეწველო საწარმოთა რიტმი.**

კომბაინერთა შეჯიბრება

შ. ნოზაძემ ხაშურის რაიონის ალის საბჭოთა მეურნეობაში გუშინ 8 ჰექტარის ნაცვლად 12 ჰექტარი პურეული მომკა და საშუალოდ ჰექტარზე 25 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

ბ. მოსიაშვილმა ზემო ქართლის კოლმეურნეობაში 9 ჰექტარი პურეულის მოსავალი აიღო და თითოეულ ჰექტარზე 26 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

ი. გასპარიანმა თეთრი წყაროს რაიონის გარისის საბჭოთა მეურნეობაში 8 ჰექტარი პურეული მომკა და საშუალოდ ჰექტარზე 20 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

გ. კოკოზაშვილმა ქარელის რაიონის დედოფლის საბჭოთა მეურნეობაში ერთ დღეს 8 ჰექტარის ნაცვლად 9 ჰექტარი პურეული მომკა და თითოეულ ჰექტარზე 32 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

ქარელის რაიონში პურეულის მოსავლის აღება მაღე დამთავრდება. ფცის საბჭოთა მეურნეობაში ჰექტარზე საშუალოდ 19,5 ცენტნერის ნაცვლად 23 ცენტნერს ლეწავენ.

პურეულის მოსავლის აღებაში შეუფერხებლად ამუშავებს კომბაინს მექანიზატორი ნ. კვალიაშვილი. იგი ყოველდღე 8 ჰექტარის ნაცვლად 10 ჰექტარ პურეულს მკის და თითოეულ ჰექტარზე 23 ცენტნერ მარცვალს ლეწავს.

* * *

სურათებზე: ზემოთ — მოწინავე მექანიზატორები. მესამე ა. ნებიერიძე, კომბაინერი ფ. ქოქაშვილი და მეურნეობის დირექტორი გ. მინდიაშვილი; კომბაინერი ნ. კვალიაშვილი.

ი. დავითაშვილისა და მ. დათიკაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოერონიკა).

დავალება — ვადამდე

ხუთფლედის დავალებათა გადამდე შესრულებისათვის რძის წარმოების გადიდებაში თავი ისახელეს აბაშის რაიონის სამეურნეოს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეებმა. აქ შვიდ თვეში მიიღეს 208,6 ტონა რძე, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 14 ტონით მეტი. აქედან სახელმწიფოს მიჰყიდეს 196,6 ტონა რძე.

ივ. თოფურია.

იღებენ მზესუმზირას მოსავალს

ფოთელწყაროს. („კომუნისტის“ კორ.). რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში პურეულის მკა კარგა ხანია დაამთავრეს. ახლა მექანიზატორები შეუდგნენ მზესუმზირას მოსავლის აღებას. ეს სამუშაო რაიონში ყველაზე ადრე დაიწყეს ჯაფარიძის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე — სოციალისტური შრომის გმირი ნ. ყარჩიაშვილი) მექანიზატორებმა.

მოსავლის აღების პირველი დღიდან კომბაინს სრული დატვირთვით ამუშაებს მექანიზატორი ა. იკაბიშვილი. იგი 6 ჰექტარის ნაცვლად ყოველდღე 10 ჰექტარ მზესუმზირას მოსავალს იღებს და თითოეულ ჰექტარზე 12 ცენტნერის ნაცვლად 14 ცენტნერ მარცვალს იწვნევს.

მოსავლის აღებაში პირველობისათვის ერთმანეთს ეჯიბრებიან კომბაინერები გ. ლეკაიშვილი და ს. პაპლიაშვილი. ისინი ყოველდღიურ ნორმას ერთიორად ასრულებენ.

ჯაფარიძელებმა წითელწყაროს ელევატორში უკვე მიიტანეს 78 ტონაზე მეტი ხარისხოვანი მზესუმზირას მარცვალი, ხოლო გამარჯვების კოლმეურნეობამ 45 ტონაზე მეტი.

მუშაობის ტემპს ყოველდღიურად აძლიერებენ და მზესუმზირას მოსავლის აღებაზე მუშაობენ არხელოსანი ციროვის სახელობის, საბთლოს შაუმიანის სახელობის, გამარჯვების ოდანოვის სახელობისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობების მექანიზატორები.

7.480 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიეყიდოთ 8.200 ტონა მზესუმზირა! — ამ დევიზით მუშაობენ ახლა წითელწყაროელი მხვნელ-მთესველები.

„სალუტ-6“ — „სოიუზ-29“:

მუშაობის ათი კვირა

ფრუნზის მართვის ცენტრი, 25 აგვისტო (საკუთი). დამთავრდა „სალუტ-6“ — „სოიუზ-29“ ორბიტული სამეცნიერო-კვლევითს კომპლექსში ვლადიმერ კოვალიონოკისა და ალექსანდრე ივანჩენკოვის მუშაობის მეათე კვირა.

დღეს კოსმონავტები ასრულებენ ცალკეული საბორტო სისტემებისა და აგრეგატების საკონტროლო შემოწმებას, ალაგებენ კომპლექსის სათავსებს.

დღის პროგრამით გათვალისწინებულია აგრეთვე ფიზიკური ფარაფინი კომპლექსურ ტრენაჟერსა და ველოერგომეტრზე, სატელევიზიო რეპორტაჟი.

ეკიპაჟის მოხსენებებისა და ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემების მიხედვით „სალუტ-6“ — „სოიუზ-29“ ობრიტული კომპლექსის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს.

მეგობრული შეხვედრა

23 აგვისტოს ყირიმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა მონღოლეთის სახალხო რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ჰურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ი. ცედენბალს, რომელიც საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა დასასვენებლად.

ლ. ი. ბრეჟნევმა და ი. ცედენბალმა ერთმანეთს აზრი გაუზიარეს საბჭოთა კავშირ-მონღოლეთის თანამშრომლობის ძირითად მიმართულებათა შესახებ. მათ აღნიშნეს, რომ ორივე ქვეყნის ურთიერთმოქმედება ყველა დარგში კვლავ ღრმავდება. აღინიშნა, კერძოდ, რომ საბჭოთა კავშირი და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა ერთად ახორციელებენ მთელ რიგ მნიშვნელოვან პროექტებს, რომლებიც მონღოლეთის სახალხო მეურნეობის მტკიცე ზრდის წანამძღვრებს ქმნიან. ამის მაგალითია ერდენეტის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის მშენებლობა, ბაგანურის ქვანახშირის საბადოს ათვისებისათვის მზადება და როგორც ქალაქად, ისე სოფლად სხვა ობიექტებზე მუშაობა.

საუბრის მონაწილეებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს ეკონომიკური ურთიერთობის ეფექტიანობის ამაღლების საკითხებს. ამასთან ხაზგასმით აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს 1990 წლამდე პერიოდში მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საწარმოო ძალების განვითარებისა და განლაგების გენერალური სქემის შემუშავებისა და მომავალი ხუთწლეულისათვის ორივე ქვეყნის სახალხო-სამეურნეო გეგმების კოორდინაციას.

ორი მოძმე პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელებმა იმსჯელეს აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე. მათ შეშფოთებით აღნიშნეს, რომ ამ ბოლო დროს ახალი ნეგატიური მომენტები იჩრდნობა შორეული აღმოსავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მდგომარეობის განვითარებაში. ეს პირველ რიგში გამოწვეულია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ჰეგემონიზმის მისწრაფებით შეპყრობილი ხელმძღვანელობის ხაზით. მსოფლიოს როგორც ამ, ისე სხვა რაიონებში მას ამედი აქვს, რომ გაამწვავებს საერთაშორისო დაძაბულობას, გაამძაფრებს ურთიერთობას სხვადასხვა სახელმწიფოს შორის. ეს მოითხოვს სიფხიზლეს საერთაშორისო ასპარეზზე პეკინისა და იმ ძალების მოქმედების მიმართ, რომლებიც ასე თუ ისე ხელს უწყობენ მისი ავანტიურისტული პოლიტიკის განხორციელებას.

ჩინეთის უხეში ზემოქმედება ვიეტნამის სოციალისტურ რესპუბლიკაზე, მისი აქტიური წამქეზებელური როლი ვიეტნამის წინააღმდეგ კამპუჩიის საზღვრო პროვოკაციებში მიზნად ისახავს, რომ ხელი შეუშალოს ამ ქვეყნის ხალხს განახორციელოს დამოუკიდებელი პოლიტიკა. საბჭოთა კავშირი და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა, ხაზი გაუსვეს ლ. ი. ბრეჟნევმა და ი. ცედენბალმა, მტკიცედ უჭერენ მხარს ვიეტნამის სოციალისტურ რესპუბლიკას, სოლიდარობას უცხადებდნენ, უცხადებენ და კვლავაც გამუცხადებენ გმირ ვიეტნამელ ხალხს.

ლ. ი. ბრეჟნევმა და ი. ცედენბალმა აღნიშნეს, რომ საერთაშორისო ასპარეზზე ორი საზოგადოებრივი სისტემის წინააღმდეგობის ამჟამინდელ გართულებულ პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სოციალისტური თანამეგობრობის, მუშათა და კომუნისტური მოძრაობის, მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების ერთიანობის განმტკიცებასა და შეკავშირებას მშვიდობის შემდგომი დამკვიდრებისა და სოციალური პროგრესის მიღწევის მიზნით. მათ გამოთქვეს რწმენა, რომ იმპერიალიზმის, დიდმპყრობლური შოვინიზმის, რეაქციის ძალები თავს ვერ მოიხვევენ ხალხებს თავიანთ ხაზს: ამ ძალებს უნარი არ შესწევთ ჩაშალონ დაძაბულობის შენელება, რომელმაც ღრმად გაიდგა ფესვები საერთაშორისო ცხოვრებაში.

საუბარმა მეგობრულ, გულთბილ ატმოსფეროში ჩაიარა და ახასიათებდა შეხედულებათა სრული ერთიანობა ყველა განსახილველ საკითხებზე.

საუბარში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. უ. ჩერნენკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ა. ი. ბლატოვი. (საკუთრ.).



სურათზე: შეხვედრის დროს.

ბ. ბუჟანიანის ტელეფოტო (საკუთრ.).

დიდმნიშვნელოვანი ეტაპი პარტიულ ორგანიზაციათა ცხოვრებაში

თათბირი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნების, საოლქო კომიტეტების ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილებათა, საქალაქო, რაიონული კომიტეტების საორგანიზაციო განყოფილებათა გამგეების თათბირი. განიხილეს პარტიული კომიტეტების ამოცანები რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებში ანგარიშებებ-არჩევნების ჩატარებასთან და ხუთწლედის მესამე წლისა და მთლიანად ხუთწლედის დავალებათა შესრულების მიმდინარეობასთან დაკავშირებით.

სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია გააკეთა საქართველო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა, რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში მოსახლეობის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის **ცენტრალური** კომიტეტის მდივანი ზ. ა. ჩხეიძე.

მოხსენება რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებში ანგარიშგება-არჩევნებთან დაკავშირებით პარტიული კომიტეტების ამოცანების შესახებ გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგის მოადგილემ მ. მ. დანელიამ. თათბირზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ პარტიულ ორგანიზაციებში მორიგი ანგარიშგება-არჩევნები რესპუბლიკის პოლიტიკური ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენაა. ამ პერიოდში საქართველოს კომუნისტებმა ყოველმხრივ უნდა განხილონ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის პარტიულ ორგანიზაციათა სამეცნიერო-საარჩევნო კრებები გაიმართება 8196-ე პარტიულ ჯგუფში, 6604 საამქრო და 11028 პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში, საოლქო, საქალაქო და რაიონულ პარტიულ ორგანიზაციებში გაიმართება პარტიული კონფერენციები.

ანგარიშგება-არჩევნების კამპანიამ უნდა ჩაიაროს იმ ნიშნით, რომ წარმატებით შესრულდეს პარტიის მიერ დასახული სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანები, კიდევ უფრო ამაღლდეს მუშაობის ეფექტიანობა და ხარისხი, მასები დაირაზმონ მომდინარე წლისა და მთლიანად ხუთწლედის გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულებისათვის. ამ საკითხების ღრმა და ყოველმხრივი განხილვა ხელს შეუწყობს კომუნისტთა ინიციატივისა და აქტიურობის განვითარებას, შეჯიბრების ახალ ფორმებს, დისციპლინისა და ორგანიზებულობის განმტკიცებას, რეზერვების უფრო სრულ გამოყენებას,

კრებებსა და კონფერენციებზე გულდასმით უნდა გაანალიზოთ მასებში ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის დაყენება, ღრმად გავიაზროთ შეძენილი გამოცდილება, განსაზღვროთ კადრების შერჩევის შემდგომი გაუმჯობესების, მუშაობის ლენინური სტილის დაუფლების, შესრულების კონტროლისა და შემოწმების გაძლიერების ქმედითი ღონისძიებანი.

აღინიშნა, რომ ანგარიშგება-არჩევნებმა ხელი უნდა შეუწყონ შინაპარტიული დემოკრატიის შემდგომ განვითარებას, კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლას, პარტიული რიგების თვისებრივი შემადგენლობის გაუმჯობესებასა და განმტკიცებას.

(დასასრული მე-2 გვერდზე).

მიღება საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის გ. ეკოლბინის შეხვედრა გერმანელთა კომუნისტური პარტიის საარის საოლქო ორგანიზაციის დელეგაციასთან, რომელსაც მეთაურობს გერმანელთა კომპარტიის ცენტრალური გამგეობის პრეზიდიუმის წევრი, საოლქო ორგანიზაციის თავმჯდომარე როლფ ბრომერი.

საუბრის დროს ხაზგასმით აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თანამედროვე ურთიერთობის განვითარებაში მნიშვნელოვანი ნიშანსვეტი იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის ამასწინანდელი ვიზიტი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

გერმანელთა კომპარტიის საარის ორგანიზაციის წარმომადგენლები გაეცნენ საქართველოს კომპარტიის საქმიანობას, რესპუბლიკის მშრომელთა წარმატებებს სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში.

როლფ ბრომერმა თქვა, თუ რა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დელეგაციის წევრებზე საქართველოში ყოფნამ, ქართველი ხალხის მიღწევებმა ეკონომიკისა და კულტურის სხვადასხვა დარგში, რომლებსაც მან მოიწია კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

შეხვედრას დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები ა. დ. ალექსიძე, ვ. მ. ხინთბა. (საქინფორმი).

მშვიდობის ლენინური კურსით

„სკკპ და საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის შესახებ“ ლ. ი. ბრეჟნევის წიგნის გამოსვლის გამო

ჯერჯერობით არ ყოფილა საერთაშორისო ცხოვრება ეხოდენ დინამიკური და მოვლენებით აღსავსე, არასოდეს არ მომხდარა დედამიწაზე ისეთი ღრმა, ფუძემარტივ ისტორიული ძვრები მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის სახარგებლოდ, როგორც ჩვენს ეპოქაში. განვლილ წლებს რომ გადავხედოთ, ჩვენ თვალწინ წარმოდგება ლენინური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს იმ ტიტანური საქმიანობის პანორამა, რომლის მიზანია თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო პრობლემების გადაწყვეტა, მშვიდობის პროგრამის განხორციელება, დაძაბულობის შენელების გაღრმავება და განვითარება, უშიშროების განმტკიცება, ხალხთა სუვერენული უფლებებისა და თავისუფლების დაცვა.

1964-1978... ეს წლები ჩვენი საამბოხლოს ისტორიაში შევა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ნათელი ფურცლები. სწორედ ამ პერიოდში დაიწყო ისტორიული შემობრუნება კონფრონტაციიდან თანამშრომლობისაკენ, სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაში მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპების დამკვიდრებისაკენ. ამასთანავე სწორედ ამ პერიოდში მსოფლიოს რევოლუციური განახლების პროცესმა ახალი საგრძნობი ნაფიფი გამოიღო.

1964 წლიდან **1978** წლამდე მსოფლიო სარბიელზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს კეთილსაყოფიერი საქმიანობის ამაღლებელი მატიანეა მშვიდობისა და პროგრესის გამოჩენილი მებრძოლის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის წიგნი. ამ წიგნში თავმოყრილია სიტყვები და სტატიები სკკპ და საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის შესახებ. წიგნში შესული ლ. ი. ბრეჟნევის ნაწარმოებები უდიდესი წვლილია მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიაში, თანამედროვე საერთაშორისო ცხოვრების კარდინალური პროცესების ღრმა, შემოქმედებითი და ყოველმხრივი ანალიზისა და განზოგადების, საყოველთაო მშვიდობისათვის, თავისუფლებისა და სოციალური პროგრესისათვის შემდგომი წარმატებული ბრძოლის ყველაზე ხელსაყრელი პირობების უზრუნველსაყოფი კონკრეტული, ქმედითი ღონისძიებების შემუშავების ნიმუშია.

მშვიდობა და სოციალიზმი განუყოფელია. ამ აზრით არის გამსჭვალული ლ. ი. ბრეჟნევის შრომის ყოველი სტრიქონი. „ჩვენი საერთაშორისო პოლიტიკის მიზნად, — აღნიშნავს ლ. ი. ბრეჟნევი, — ის მიგვაჩნია, რომ განვამტკიცოთ მშვიდობა, რომელიც გვჭირდება კომუნიზმის მშენებლობისათვის, ხვირდება ყველა სოციალისტურ ქვეყანას, ყველა სახელმწიფოს ხალხებს. ამიტომ ჩვენ კვლავაც დავუპირისპირდებით აგრესიის პოლიტიკას და ხელს შევუწყობთ მთელ მსოფლიოში იმ პირობების ლიკვიდაციას, რომლებიც აგრესიულ ომებს იწვევს.

ჩვენი საერთაშორისო პოლიტიკის მოწოდებად და როლად მიგვაჩნია ის, რომ ხელი შეუწყოს ყოველი ხალხის მიერ მათი განუყოფელი უფლებების, და უწინარეს ყოველისა დამოუკიდებელი, თავისთავადი განვითარების უფლების განხორციელებას, როცა ისინი შეძლებენ ისარგებლონ თანამედროვე ცივილიზაციის ნაყოფით.

საერთაშორისო სარბიელზე ჩვენი პოლიტიკის მოწოდებად და როლად მიგვაჩნია ის, რომ მუდამ ვიყოთ იმათ მხარეზე, ვინც იბრძვის იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ყველა ფორმის ექსპლოატაციისა და ჩაგვრის წინააღმდეგ, თავისუფლებისა და ადამიანური ღირსებისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის.

ერთი სიტყვით, ჩვენთვის ძვირფასია ჩვენი ხალხის თავისუფლება, მშვიდობა და კეთილდღეობა, და ჩვენ თავისუფლებას, მშვიდობასა და კეთილდღეობას ვუსურვებთ მსოფლიოს ყველა ხალხს!“.

ნიგნში უპირველესი ყურადღება ეთმობა მსოფლიო სოციალისტური სისტემის განვითარების საკითხებს, რომელიც ოქტომბრის შემდეგ მუშათა კლასის უდიდესი მონაპოვარია.

ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებში ჩამოყალიბებულია დიდმნიშვნელოვანი დებულებები და დასკვნები ისტორიულ განვითარებაში სოციალიზმის მსოფლიო სისტემის როლისა და ადგილის შესახებ. ფასდაუდებელია ჩვენი პარტიის, პირადად ლ. ი. ბრეჟნევის შემოქმედებითი და პრაქტიკული წვლილი მსოფლიო სოციალისტური სისტემის წარმატებული წინსვლის საქმეში, მის გზაზე წამოჭრილი რთული და მრავალფეროვანი პრობლემების გადაწყვეტაში.

წიგნში შესული გამოსვლები გვიჩვენებს, რაოდენ მრავალფეროვანი და ნაყოფიერია მომავე ქვეყნების თანამშრომლობა. იგი შეიცავს მჭიდრო პარტიათაშორის კავშირურთიერთობასა და ფართო კულტურულ გაცვლას. შეთანხმებულ საგარეო პოლიტიკურ აქციებსა და სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციისათვის კოლეკტიურად განხორციელებულ ღონისძიებებს, იმპერიალიზმის იდეოლოგიური იერიშების ერთობლივ მოგერიებას და ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისათვის მებრძოლი ხალხებისათვის დახმარების საკითხებში ურთიერთგაგებას. ეხოდენ მრავალფეროვანი თანამშრომლობის საძირკველია სოციალისტური ინტერნაციონალიზმი. იგი ხორცს ისხამს ხაბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური სახელმწიფოების ეფექტიანი პოლიტიკური თანამშრომლობით. მსოფლიო სოციალიზმის პოზიციების განმტკიცება განუყრელად არის დაკავშირებული სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ხელიდარულ მოქმედებასთან და მათ ურთიერთდახმარებასთან.

მოძმე ქვეყნებს ხაზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ურთიერთმოქმედების კარგად გამართული მექანიზმი აქვთ. ეი უკვე ორ ათეულ წელზე მეტია ევროპის სოციალისტური სახელმწიფოების პოლიტიკური და თავდაცვითი თანამშრომლობის მტკიცე, საიმედო საფუძველს წარმოადგენს ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების ორგანიზაცია.

გამოცდილება სავსებით დამოჯერებლად გვიჩვენებს, რა განსაკუთრებული, შეიძლება ითქვას, გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს სოციალიზმის წარმატებით მშენებლობისათვის კომუნისტური პარტიის, როგორც სოციალიზმის დროს მთელი საზოგადოებრივი განვითარების ყველაზე მოწინავე, წამყვანი, მაორგანიზებელი და წარმმართველი ძალის, ხელმძღვანელი როლის უზრუნველყოფასა და მუდმივ განმტკიცებას. ამაოდ როდი, რომ სოციალიზმის მტრები თავიანთი თავდასხმების პირველ ხამიზენად ყოველთვის სწორედ კომუნისტურ პარტიას ირჩევენ, როგორც ეს, კერძოდ, გვიჩვენა ჩეხოსლოვაკიის ამბების გაკვეთილმა.

ლ. ი. ბრეჟნევის წიგნში განვითარებული და გამდიდრებულია უმნიშვნელოვანესი ლენინური დებულებანი სოციალიზმისა და კომუნიზმისათვის ბრძოლაში პარტიის როლის შესახებ, მის პოლიტიკაში ნაციონალიზმისა და ინტერნაციონალიზმის შეხამების შესახებ.

პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ სოციალისტური ინტერნაციონალიზმიდან გადასვლა არ შეეხებამება არც მთლიანად მსოფლიო სოციალისტური სისტემის ინტერესებს, არც მთელ მსოფლიოში რევოლუციური პროცესის ინტერესებს. სამაგიეროდ ეს მთლიანად შეეხებამება იმპერიალისტების ინტერესებს, რომლებიც აღტაცებით ხვდებიან სოციალისტური ქვეყნების ერთიანობის შეხსენებას ყოველ ნაბიჯზე და მზად არიან ყოველნაირად დაეხმარონ ამას, ვინც არყევს ამ ერთიანობას.

ხანამდე შეიძლება მიგვიყვანოს ლენინური პრინციპების ფეხქვეშ გათელვამ, ნაციონალიზმითა და შოვინიზმით შეპყრობამ, ამას გვიჩვენებს ჩინეთის მაგალითი. მისი ახლანდელი ხელმძღვანელების პოლიტიკა აშკარად არის მიმართული სოციალისტურ სახელმწიფოთა უმრავლესობის წინააღმდეგ. უფრო მეტიც, იგი პირდაპირ ემთხვევა მთელი მსოფლიოს უკიდურესი რეაქციის პოზიციას. იმპერიალიზმისა და მისი მაოისტური მოკავშირის ზრახვები, რომ შეარყიონ და შეახუნონ მომძე ქვეყნების თანამეგობრობა, ქვიშაზეა დაფუძნებული. სოციალისტური თანამეგობრობა ამჟამად სახელმწიფოთა ისეთი გაერთიანებაა, რომელსაც ხიმტკიცით ვერ შეედრება ვერც ერთი კავშირი, ვერც ერთი კოალიცია, რომლებსაც ოდესმე უარსებიათ ან ამჟამად არსებობენ.

ნიგნის მთელ რიგ მახალებში გაშუქებულია საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის აქტუალური ამოცანები, რომელიც რევოლუციური ძალების ავანგარდად, რევოლუციური პროცესის ერთიანობის იდეების ბაირატრად გვევლინება.

კომუნიზმი მძლავრი ძალა გახდა, მისი იდეები ძლევამოსილად მოეფინა ჩვენს პლანეტას. ხაზოგადოებრივი პროგრესის ავანგარდის, მუშათა კლასის, ყველა მშრომელის ინტერესებისათვის თანამიმდევრული მებრძოლის როლი კომუნისტებმა ხაქმით მოიპოვეს.

კაპიტალიზმი სულ უფრო თვალსაჩინოდ ვლინდება, როგორც უმიმავლო საზოგადოება. მისი ეკონომიკა ქრონიკული ციებ-ცხელებას განიცდის. ტექნიკური პროგრესი კაპიტალისტურ ქვეყნებში საწარმოებიდან ქუჩაში ყრის მუშათა ახალ მასებს. განუწყვეტლივ მატულობს ხიძვრე, უმიერველეს პრობლემად რჩება ინფლაცია.

ყველა ხიძნელის მიუხედავად განვითარებული კაპიტალიზმის ქვეყნების მუშათა მოძრაობა დღენიადაგ ძლიერდება და ახალ გამოცდილებას იძენს. მშრომელთა აქტიურობა, ხიმტკიცე და მზარდი ორგანიზებულობა ხალხმი ინტერესებისათვის ბრძოლაში — აი რა ახასიათებს კაპიტალისტურ სამყაროში კლასობრივი ბრძოლის თანამედროვე ეტაპს.

